## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-353

23/04/2020 ქ. თბილისი

**სიღნაღის მუნიციპალიტეტში ი/მ „გიორგი ბაკაშვილის“ თევზსაშენი ტბორების ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, სიღნაღის მუნიციპალიტეტში ი/მ „გიორგი ბაკაშვილის“ თევზსაშენი ტბორების ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №29 (16.04.2020);
2. ი/მ „გიორგი ბაკაშვილმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №29 (16.04.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ „გიორგი ბაკაშვილს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ „გიორგი ბაკაშვილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი